ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანებები
## რესპუბლიკის მთავრობისა

**სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ**

2 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 432

**აყვანილნი არიან.** თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1915 წ. № 563, ქვეითა ჯარში, უფროსობით,

**პორუჩიკის ხარისხზე:** მე-6-ე ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკები: **ბერიძე** ემელიანი, 1918 წ. აპრილის 11-ნ, **მაჭავარიანი** დავითი, 1917 წ. ივნისის 17-დან, **იაკობიშვილი** თეოფანე, 1917 წ. თებერვლის 1-დან, **გურგენიძე** იოსები, 1916 წ. მაისის 16-დან.

**შტაბს-კაპიტნის ხარისხზე:** მე-6-ე ქვეითა პოლკის პორუჩიკები: **ბენდელიანი** ივანე, 1916 წ. ივლისის 26-დან, **ქიტიაშვილი** ალექსანდრე, 1917 წ. მაისის 6-დან, **სულხანიშვილი** დავითი, 1917 წ. თებერვლის 10-დან, **დემურიშვილი** ვასილი, 1917 წ. ოქტომბრის 19-დან.

**ნამსახურობისითვის:** პორუჩიკის ხარისხზე: მე-6-ე ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი **ბარსკი** ალექსანდრე 1918 წ. ოქტომბრის 1-დან.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,
გენერალ-მაიორი **გედევანიშვილი**.

17 ივლისი 1919 წ. ქ. ტფულისი.

### № 433

**აყვანილია:** ამხანაგებთან გასათანასწორებლად, დევნილი 1906 წ. პოლიტიკური რწმენისათვის.

**კაპიტნის ხარისხზე:** უფროსობით, სანაპირო ჯარის 1-ლ შავი ზღვის რაზმის შტაბს-კაპიტანი **ჩაჩუა**—1915 წ. აგვისტოს 6-დან, და

**პოდპოლკოვნიკის ხარისხზე,** უფროსობით, 1917 წ. სექტემბრის 10-დან.

**საფუძველი:** ბრძანება სამხედრო უწყების მიმართ 1917 წ. № 369, მუხ. მუხ. 1 და 3.

სამხედრო მინისტრი **რამიშვილი**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## №434

**ინიშნება:** ტფილისის სამხედრო ალექსანდრე-ნეველის ტაძრის წინამძღვრად ჯარების მთავარ-ხუცესი დეკანოზი ანტ. **თოთიბაძე**; იმავე ტაძრის დიაკონის ადგილზე ყოფილი დეკანოზი ტფილისის წმ. ნიკოლოზის ტაძრისა ნ. **ნათიძე**.

ტაძარში მკითხველად დიაკონი გ. **გრიგორიევი**.

ყველა ზემოხსენებულნი ითვლებიან სამსახურში 4 ამა წლის ივნისიდან.

18 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## №435

**დათხოვნილნი არიან:** სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, **სოხუმის ოლქში, ბათუმის პარტიზანულ პოლკის** კაპიტანი **ბერიძე** აქსენტი, პორუჩიკები: **ხარაია** პლატონი, **შენგელია** საბა.

**ქუთაისის მაზრაში:** პოდპორუჩიკები: **ჭუმბურიძე** თეოდოტი, **ლალიძე** ალექსანდრე.

**სრულიად სამსახურიდან:** რკინის გზის სადარაჯო ბატალიონის პორუჩიკი **გრაფი**, ამ წლის 16 ივნისიდან.

18 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## №436

**მიივლინება:** სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილების საორგანიზაციო სექციის უფროსი გენერალური შტაბის პოლკოვნიკი **გედევანიშვილი** ნიკოლოზ რესპუბლიკის სამხედრო წარმომადგენლად აზერბეიჯანში.

20 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## №437

**აყვანილნი არიან:** სამსახურში თავის გამოჩენისათვის ახალციხის ოპერაციების დროს, ცხენოსან ჯარში, უფროსობით, პრაპორშჩიკის ხარისხზე ქართველ მუსულმანთა ცხენოსან დივიზიონის მოხალისე ფილიშვილი ყარამანი, 1919 წ. თებერვლის 15-დან.

20 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## №438

**დათხოვნილნი არიან:** სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, გორის მაზრაში, მე-5 ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი **ხმალაძე** დიმიტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის მაზრაში, ქართველ მუსულმანთა ბატალიონის დაშლის გამო, ხსენებულ ბატალიონის საქმის მწარმოებელი სამხედრო მოხელე **ქორქია** საშტატგარეშო ჯამაგირის მიცემით.

სასანიტორო უწყებაში; ტფილისის სამხედრო ჰოსპიტლის უმცროსი ორდინატორები: **სანაძე** მარიამი, **ცხვედაძე** კონსტანტინე, **კოსტავა** დავით, სამივე ამ წლის ივლისის 5-დან.

20 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 439

**დათხოვნილია:** სათადარიგოთ, ცხენოსან ჯარში, ახალციხის მაზრაში, ქართველ მუსულმანთა ცხენოსან დივიზიონის პრაპორშჩიკი **ფილიშვილი** ყარამანი.

20 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 440

**ინიშნებიან:** მე-6 ქვეითა პოლკში პორუჩიკი **იაკობაშვილი**, ამ წლის თებერვლის 25-დან და პრაპორშჩიკი უიფიანი, ამ წლის თებერვლის 28-დსნ.

**ნაცვლად** რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებისა სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ 1919 წ. მაისის 20-დან № 320, მე-2 მანგლისის სანაპირო რაზმის პრაპორშჩიკი **მიქელაძე** ითვლებოდეს გადარიცხულათ თადარიგში, ქვეითა ჯარში, ქუთაისის მაზრაში, ამ წლის მაისის 15-დან.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,
გენერალ-მაიორი **გედევანიშვილი**.

დარიგდა 2 აგვისტოს 1919 წ.